



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 235

2016 წლის 06 ივნისი

ქ. თბილისი

“2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში
დარეგისტრირებული პროექტების შეფასების საბოლოო ქულის დაანგარიშების წესის შესახებ” სსიპ
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 17 ივნისის
N127 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული
პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივნისის
N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების
უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნინო გაჩეჩილაძის
სამსახურებრივი ბარათის (N1455702, 6.12.2016წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება “2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში
დარეგისტრირებული პროექტების შეფასების საბოლოო ქულის დაანგარიშების წესის შესახებ” სსიპ შოთა
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 17 ივნისის N127
ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესი ჩამოყალიბდეს თანდართული
დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი)
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის
ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

მარინე ჩიტაშვილი

2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში პროექტების შეფასების საბოლოო ქულის დაანგარიშებისა და დაფინასების წესი

§ 1. პროექტების საბოლოო ქულის განსაზღვრის წესი

დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული წარმოადგენს პროექტის საბოლოო ქულას.

§ 2. საუკეთესო პროექტების განსაზღვრის წესი

1. პირველ ეტაპზე დაფინანსების მოსაპოვებლად ყველა სამეცნიერო მიმართულებიდან განიხილება მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულაც მეტია ან ტოლი 30-ის და დაიანგარიშება ქულათა საშუალო არითმეტიკული.
2. მეორე ეტაპზე თითოეული სამეცნიერო მიმართულებიდან განიხილება მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულაც, მეტია ან ტოლი პუნქტი 1-ის მიხედვით განსაზღვრულ საშუალო არითმეტიკულზე და დაიანგარიშება აღნიშნული პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული.
3. საუკეთესო პროექტებად მიიჩნევა და დაფინასების მოპოვებისათვის განიხილება მხოლოდ ის პროექტები, რომელთა შეფასების ქულა მეტია ან ტოლია პუნქტი 2-ის მიხედვით განსაზღვრულ საშუალო არითმეტიკულზე.

§ 3. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით:

კონკურსისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის 10% განსაზღვრულია საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით (მე-7 მიმართულება) შემოსული პროექტებისათვის, ხოლო ბიუჯეტის 90% ნაწილდება დანარჩენი 6 მიმართულებით (1-6 მიმართულებები) დარეგისტრირებულ პროექტებზე.

1-6 მიმართულებებით დარეგისტრირებულ პროექტებისათვის განკუთვნილი თანხა ნაწილდება შემდეგი წესით:

1. N_1 -ით აღინიშნება პირველ სამეცნიერო მიმართულებაში შემოსული საუკეთესო პროექტების ქულათა ჯამი, N_2 -ით- მეორე მიმართულებაში შემოსული საუკეთესო პროექტების ქულათა ჯამი და ა.შ, N_6 - ით- მეექვსე მიმართულებაში შემოსული საუკეთესო პროექტების ქულათა ჯამი.

$$N = N_1 + N_2 + N_3 + N_4 + N_5 + N_6$$

2. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის (1-6) განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$K_1 = \frac{N_1}{N}, \quad K_2 = \frac{N_2}{N}, \quad \dots \quad K_6 = \frac{N_6}{N}$$

3. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის (1-6) განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$Q_1 = K_1 \cdot M, \quad Q_2 = K_2 \cdot M, \quad \dots \quad Q_6 = K_6 \cdot M,$$

სადაც M არის 1-6 სამეცნიერო მიმართულებებისათვის გამოყოფილი ჯამური თანხა, რაც შეადგენს კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის 90%-ს, ხოლო Q₁, Q₂, ..., Q₆ არის შესაბამისად პირველი, მეორე,... მეექვსე სამეცნიერო მიმართულებების ბიუჯეტები.

მე-7 მიმართულებაში (საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები) დაფინანსების მოპოვება შეუძლიათ მხოლოდ საუკეთესო პროექტებს (იხ. 1-3 პუნქტები).

§ 4. პროექტების დაფინანსების წესი :

1. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის (1-7 მიმართულებები) ქულების მიხედვით ცალ-ცალკე დგება პროექტების რანჟირებული სია.
2. ყოველ სამეცნიერო მიმართულებაში ფინანსდება მხოლოდ საუკეთესო პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ სამეცნიერო მიმართულებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშულებას.

§ 5. ნაშთის სახით დარჩენილი თანხის განაწილების წესი

1. R₁-ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება პირველ სამეცნიერო მიმართულებაში ნაშთის სახით, R₂-ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება მეორე სამეცნიერო მიმართულებაში ნაშთის სახით და ა.შ, R₇-ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება მეშვიდე სამეცნიერო მიმართულებაში ნაშთის სახით.

$$R = R_1 + R_2 + R_3 + R_4 + R_5 + R_7,$$

სადაც R არის სრული ნაშთი, ანუ თითოეული სამეცნიერო მიმართულებებიდან ნაშთის სახით დარჩენილი თანხათა ჯამი.

2. R თანხა ნაწილდება შედგნილი ერთიანი რანჟირებული სიის მიხედვით დაფინანსების გარეშე დარჩენილ საუკეთესო პროექტებს შორის (ზევიდან ქვევით) სამეცნიერო მიმართულებების გაუთვალისწინებლად.

§ 6. დამატებითი პირობა პროექტების დაფინანსების შესახებ

თუ კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი იძლევა ყველა საუკეთესო პროექტის დაფინანსების საშუალებას და ამავდროულად, რჩება თანხა, მაშინ, დარჩენილი თანხით, დამატებით, ფინანსდება ის პროექტები, რომელთა საბოლოო ქულა მეტია ან ტოლი 30-ის, შედგენილი ერთიანი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სამეცნიერო მიმართულებების გაუთვალისწინებლად, სანამ კონკურსისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი იძლევა პროექტის სრულად დაფინანსების საშუალებას.